

„თვითმმართველობა უჩველად წამყვანი ხელის ყოველთვის საჭიროებს... ყოველი საკმაოდ დასწრით, იგი ყველას სწავლის... ყოველი სასწრაფოდ, რიგობს ჩვენს ციხეთი თუ სივრცე დამკვიდრად, ხაზით-ხაზითად ანის დაყოფილი, რომ მოეცა და მსწრაფობა ადვილი იყოს.“

ხობის მოამბე

№10 (7001) 14 ივნისი,
პარასკევი, 2013 წელი.
შპსი 70 თმთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის განვითარება



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ქარდავა უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი კახაბერ ბენიძე, საკრებულოს წევრები და გამგეობის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარე, სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე გამოეხმაურა მაისის თვეში ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ღონისძიებებს. აღნიშნა, რომ „ჩვენთვის უდიდესი სიხარული და პატივია სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ხობში ჩამოსვლას. ის ორი დღე სტუმრობდა ხობს და მოილოცა პირველი მაისის თვეში ახალი სამონასტრო კომპლექსი და ხობის ხარების სახელობის მონასტერი, პატრიარქთან ერთად ხობს ასევე სტუმრობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, რომელიც ხობში შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და პოლიტიკურ სპექტრს. საპატიო სტუმრებს ღირსეული მასპინძლობა გაუწია ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ბატონმა გოდერძი ბუკიამ, რომლის სახელთანაც ასოცირდება ახლად დასაშენებული სამონასტრო კომპლექსი.

დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი ღუმილით პატივი მიაგო პირველი მოწვევის საკრებულოს წევრის მალხაზ ბუბუტიეშვილის ხსოვნას, რის შემდეგაც სხდომა მუშაობას შეუდგა. განხილულიქნა 19 საკითხი.

„ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა-მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა, დასკვნა აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბორის ჯიქიამ. პროექტი ერთხმად იქნა მხარ-

დაჭერილი.

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარება და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტები სხდომაზე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მერაბ სილოგავას მიერ იქნა წარმოდგენილი. აქვე აირჩა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ქარდავა.

დადგენილების პროექტით „ქ. ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ“, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ქ. ხობში, გოგებაშვილის ქუჩაზე აიკრძალა სატვირთო ავტომობილისა და სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობების, აგრეთვე ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანის მოძრაობა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტონას აღემატება.

სხდომაზე ცნობის სახით იქნა მიღებული საკრებულოს წევრთა ერთი ჯგუფის მიერ შექმნილი „ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულიქნა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გონა ქაჯაია, ხოლო მისი ფრაქციის თავმჯდომარედ არჩევის გამო საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს წევრი-ბორის ბერაია.

ამავე სხდომაზე, საკრებულოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ქალაქ ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკას მიენიჭა თედო სახოკიას სახელი.

ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დასრულად გამოაცხადა.

„ღრო შიღის გვითქვს ნახიჭებს და შენ აღარ ბრუნდება, ღებრო, შიგთი ამ ბიჭებს გებროდ მოსვლის უფლება!!!“



ავტანეთში მომხდარი აფეთქების შედეგად საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები დაიღუპნენ. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა გულწრფელად თანაგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს და პატივს მიაგებს დაღუპულ ვაჟბავებს.

„ხეთა ჩემი სახლია...“ — ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებული ხეთის თემში შავლავ გუკია

უზრუნველ ქლუბთან გამომშვიდობება...

სად-უახუსვლით დაბდისაქან თუ ნინ, გაართიანება- აღგენებლობისაქან?

„ნელა მიიჩქვს ადამიანი შავშვოშიდან მომავლისაქან, იყოს ყოილი შენი შამა-გზა, ჟიჯირო, ნორჩო, იქიყ ყანადა...“

ადაშიანები და ისტორიები

გვითხვალის გვარდი

სობის მუნიციპალიტეტში

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულს ულოცავენ სკოლის დამთავრებას და წარმატებას უსურვებენ!

სობის მუნიციპალიტეტში ხენა-თესვის სამუშაოები დასასრულს მიუახლოვდა

10 ივნისს, სობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მუნიციპალიტეტის გამგებლის კახაბერ ბენიძის ინიციატივით, საგანგებო შეხვედრა გაიმართა. გამგებლის წინაშე ანგარიშით წარსდგნენ მუნიციპალიტეტის რწმუნებულები. დამსწრეთა შორის იმყოფებოდნენ გამგებლის მოადგილეები ბადრი ჯობაჯია, მახარე ჩოკორაია და როსტომ კილასონია. შეხვედრის მიზანი საგანგებო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამით შესრულებული სამუშაოები იყო. როგორც შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, გარდა უამინდობისა, შეფერხებები არ ყოფილა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპისთვის მოხსნულია 8224 ჰექტარი მიწის ფართობი, რომელზეც დათესი-

ლია 96% (7956 ჰექტარი). ხენა-თესვის პროცესი სობის მუნიციპალიტეტში ორ დღეში დასრულდება. გამგებელმა კახაბერ ბენიძემ რწმუნებულებთან ისაუბრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე, რომლის განხორციელება მალევე დაიწყება. უახლოესი პერიოდისთვის დაგეგმილია ჭალადიდის თემში, სოფელ საბაუოში, პირველი მაისის თემში, სოფლებში ბულიწუში, საკვიკინოსა და ჭიხუში, თორსადვების თემში, სოფელ დღვაბის თემში, სოფელ დღვაბაში, სობის მუნიციპალიტე-



ტის ახალი სოფლის თემში, სოფელ გაღმა პირველ ხორგაში, საშინოს უბანში, ხემო ქვალონის თემში, სოფელ სახოჭოლაოში, ნოჯიხევის თემში, სოფელ დასახლებაში, ხამისკურის თემში, სოფელ საკუკაოში, ჭალადიდის თემში, სოფელ საღვამიჩაოში საყანე ფართობების შემოკლება.

მრამის კლდეში სვეტიცხოვები მიუხედავად

შრომის კოდექსში ცვლილებები მიღებულია. პარლამენტმა შრომის კოდექსში ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო, მანამდე კი მეორე მოსმენით იმ ცალკეულ მუხლებს უყარა კენჭი, რომელზეც შეთანხმება მხოლოდ გუშინ მოხერხდა. მესამე მოსმენით შრომის კოდექსს მხარი 91 დეპუტატმა დაუჭირა, 26 კი მის წინააღმდეგ წავიდა. როგორც ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, მიღებულია შრომის ისეთი კოდექსი, რომელიც შრომითი ურთიერთობების ახალ ეტაპს განაპირობებს. ჩვენ მოვანერხეთ კონსენსუსის მიღება და მივიღეთ შრომის კოდექსი, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს ორივეს - დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესებს. აღნიშნა ხუნდაძემ. მისივე თქმით, მანამდე არსებული კოდექსი დისკრიმინაციული იყო და დასაქმებულების უპირობო გათავისუფლება ყოველგვარი განმარტების გარეშე ხდებოდა. კვირბოთ, ჩვენ მოვანერხეთ ამ პუნქტში დაცულიყო დასაქმებულის ინტერესები, მაგრამ თუ პირი არ შეასრულებს ხარისხიანად და პასუხისმგებლობით საქმეს და მოვალეობას, რა თქმა უნდა, პირობები გაწერილია დეტალურად, სადაც დამსაქმებელი შეძლებს მხოლოდ დასაბუთებულად გაათავისუფლოს დასაქმებული, - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ. როგორც მან აღნიშნა, ხელშეკრუ-



ლებებთან დაკავშირებით ახალი ურთიერთობა შემოდის, აქამდე კი იყო მხოლოდ სამთავრობო ხელშეკრულებები, რომელიც დავის საგანი ხშირად ხდებოდა. კერძოდ, მისი თქმით, უვადო ხელშეკრულებები იქნება შემოღებული, თუმცა გარკვეული რეგულაციებით უვადო ხელშეკრულებები გაფორმდება დასაქმებულთან, თუ ის მუშაობს 30 თვის განმავლობაში. ასევე ორი ტიპის რეგულაციაა შრომითი ხელშეკრულების წინასწარი გაფრთხილების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ერთ თვით წინასწარი გაფრთხილების შემთხვევაში დასაქმებულს ერთი თვის სამუშაოს ხელფასი აუნაზღაურდება, ხოლო თუ დამსაქმებელი სამი დღით ადრე გააფრთხილებს დასაქმებულს, მაშინ მას მოუწევს დასაქმებულისთვის 2 თვის სახელფასო ანაზღაურების მიცემა. შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები ძალაში მისი გამოქვეყნების თანავე შევა და მისი გაცნობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლება.

„გაენათის“ ტრენინგი სობის მუნიციპალიტეტში



სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია „გაენათის“ წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი „კომუნიკაციის“ თემაზე. ტრენინგს უძღვებოდა ყურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „დამოუკიდებელი მედია ცენტრის“ ხელმძღვანელი მაია ლუბელაძე. ტრენინგის მიზანბოლოები კასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა. შეხვედრა საინტერესოდ და ხალისიანად წარიმართა.

პირველი ივლისიდან საცდელთა დაზღვევის მოცულობა იზრდება



1 ივლისიდან საყოველთაო დაზღვევის პაკეტის მოცულობა იზრდება, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ყურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა. მისი თქმით, საყოველთაო პაკეტი ამ დრომდე მოიცავდა სამ კომპონენტს, ეს არის: გეგმიური ამბულატორია, გადაუდებელი ამბულატორია და გადაუდებელი სტაციონარია. მინისტრის განცხადებით, 1 ივლისიდან ემატება გეგმიური სტაციონალური მომსახურებაც. მართალია ეს ერთი კომპონენტია, მაგრამ თავისი მოცულობით ბევრად აღემატება მთლიან პაკეტს, ანუ რამდენჯერმე გაიზრდება დაზღვევის მოცულობა, - აღნიშნა დავით სერგეენკომ.

ფინალური მატჩი მამბიდის ჩოგბურთში


4-7 ივნისს ქ. სობში, კულტურის სახლის ფოიეში ჩატარდა სობის მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სობის, თორსის, ხეთის, პირველი ხორგის, გურიფულის, ქარიატის, ახალსოფლის, შუა ხორგის, ქვემო ქვალონის, ნოჯიხევის, საჯიჯაოსა და ახალი ხიბულის წარმომადგენლები. სამოცამდე მონაწილე ოთხი დღის განმავლობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. შეჯიბრი ინდივიდუალურ პირველობებში გოგონათა და ჭაბუკთა შორის მიმდინარეობდა. გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა მარიამ შონიამ (ნოჯიხევი). ფინალში ერთმანეთს შუა ხორგელები დაუპირისპირდნენ. ქრისტიანა ბერაიამ დაძაბულ ორთაბრძოლაში 3:2 დაამარცხა თამუნა თითმერია, რის შედეგადაც გადაინაწილეს პირველი-მეორე ადგილები. მამაკაცებიდან მესამე ადგილი შუა

ხორგელ თემურ თითმერიას ერგო, მეორე ადგილზე ნოჯიხეველი გონა სიჭინავა გავიდა. პირველი ადგილი მოიპოვა ანრი მამფორიამ. პრიზიორები და ჩემპიონები შესაბამისი ხარისხის სიგელებითა და თასებით დაჯილდოვდნენ. დაჯილდოების ცერემონიას უძღვებოდნენ გამგებლის მოადგილეები ბადრი ჯობაჯია და მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფერიდე გოგია, სობის მუნიციპალიტეტის რწმუნებული ქვემო ქვალონის თემში გიგვაძაბია და შეჯიბრის მთავარი მსაჯი ვლადიმერ გერგაია. ტურნირის მსვლელობას კურირებდა მთავარი სპეციალისტი სპორტის სა-



კითხვებში ლევან ლემონჯავა. შეჯიბრი ჩატარდა და დაფინანსდა სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პროგრამის ფარგლებში. დაჯილდოების დასაწყისში ტურნირის მონაწილეებმა, გულშემატკივრებმა და ორგანიზატორებმა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ავღანეთში დაღუპული შვიდი ახალგაზრდა ვაჟკაცის ხსოვნას.

საჯარო სკოლის პედაგოგების ანაზღაურებადი შვებულების ვადა ორ თვემდე იზრდება



საჯარო სკოლის პედაგოგების ანაზღაურებადი შვებულების ვადა ორ თვემდე იზრდება. ამის შესახებ განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა და პედაგოგთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე მაია კობახიძემ თბილისის საჯარო სკოლების 80-მდე დირექტორს 24-ე საჯარო სკოლაში გამართულ შეხვედრაზე აცნობეს. განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით, ცვლილება შედის საჯარო სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს შორის დადებულ შრომის ხელშეკრულების სავალდებულო პირობების შესახებ ბრძანებაში, რითაც პედაგოგთა ანაზღაურებადი შვებულება არანაკლებ ორი თვის (ორმოც სამუშაო დღის) ვადით განისაზღვრება. განსხვავებული ვადა კი მხოლოდ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დადგინდება. განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის თქმით, მიმდინარე წლიდან მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ ანაზღაურებადი შვებულებით ივლისის დასაწყისიდან

ისარგებლონ და სკოლაში არაუგვიანეს 2 სექტემბერისა გამოცხადდნენ. მისივე თქმით, პედაგოგებს ასევე შეუძლიათ ორი თვის წინასწარი ხელფასი ივლისში აიღონ. ამასთან, მარგველაშვილის განცხადებით, ხელფასები მოემატება სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც. აქამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, მასწავლებლებს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 24 სამუშაო დღის ვადით ეძლეოდათ.

სახი კანკაზი



ბაჟეთის ნომრის სტუდია სოფლის მუნიციპალიტეტის რეზიდენციის ხეთის თემში შავლავ ბუკია.

ახალგაზრდა ხელმძღვანელი ცდილობს გამოიჩინოს მზარდი და, რაც ვალდებულად დაინახა, ბანასორციელოს. მას სჯერა, რომ მუსლიმანური შრომითა და ერთად დგომით, შესაძლებელია ხეთის უკეთესად წარმოჩენას. ამას რასაკვირველია, მომავალი გვიჩვენებს-ეს სოფლის ხვალისდელი დღეა.

„ერთად დგომით. თემის უჩეთესად წარმოჩენას შეეძლება!“

ხეთა დიდი და ტრადიციების მიმდევარი სოფელია. ხალხიც გამორჩეულია და საქმეებითაც ცნობილი.

შავლავ, თქვენ, როგორც თემის რწმუნებულს, როგორი დაგხვდათ ხეთა, როგორი შემკვიდრება მიიღეთ?

–ხეთა ერთ-ერთი დიდი თემია ხობის მუნიციპალიტეტში, რომელიც ხუთ უბანს აერთიანებს: წინაგოლა, ლარჩვა, ნოჩნონი, ოხვამეკარი და საქირი. თემი ოდიტგანვე ცნობილი იყო როგორც ძლიერი სოფელი, სადაც განათლებული, მშრომელი, ტრადიციების მიმდევარი ხალხი ცხოვრობს, ძალიან ბევრი ნიჭიერი და ცნობილი ადამიანი სწორედ ჩვენი თემიდანაა. მე სიამოვნებით ჩამოვთვლი იმ თანასოფელელების სახელებს, რომლებმაც ფეხი ამ სოფელში აიდგეს და ჩამოყალიბდნენ სრულყოფილ, საამაყო ადამიანებად–ნოდარ კოდუა, სეკერიან ბუკია, ზაურ კაკაბაძე, გორიკო ბუკია, რევაზ ლატარია, რევაზ სახოკია, გიგა ბუკია, დეკანოზი მიქაელი (მანარე) ბუკია, მღვდელი სვიმეონი (მანუჩარ) ბუკია და სხვები. მოხარული ვარ, რომ დღეს ამ ლამაზი თემის აღმშენებლობაში მეც ჩემი მოკრძალებული წვლილი შემაქვს...

როგორც თემის რწმუნებულს, როგორი შემკვიდრებით ნამდვილად ვერ დავიკვივხნი. თემში არცთუ სახარბიელო მდგომარეობა დამხვდა, უამრავი მოუგვარებელი პრობლემაა. ვცდილობ, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თანადგომით, ეტაპობრივად მათი გადაწყვეტის გზები ვიპოვო.

რა არის თქვენთვის ხეთა? მათი სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად რის გაკეთებას პირდებით ხეთელებს?

–ხეთა ჩემი სახლია. აქ დავიბადე და გავიზარდე, დღემდე თემის მაჯისცემით ვცხოვრობ, თითოეული ხეთელის ღმერთი და ჭირი გათავისებულნი მაქვს, როგორც საკუთარი სიხარული თუ ტკივილი. მინდა, ხეთას დაუბრუნო ძველი სიძლიერე. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ხეთელებს უკეთესი საცხოვრებელი პირობები შეექმნათ. იმედი მაქვს, მოსახლეობასთან ერთად, მათი თანადგომითა და მხარდაჭერით მოვავარებთ ყველა პრობლემას, რომელიც წლებით გადაუჭრელი იყო.

ვინ არის შავლავ ბუკია, გვიამბეთ თქვენზე?

–დავიბადე 1988 წლის 17 აპრილს, მამა–შერმადინ ბუკია, დედა–მარინა ჭანტურია, მყავს და–მმა თამთა და მამა ბუკიები, რომელთაც საკუთა-

რი ოჯახები აქვთ.

ვსწავლობდი ხეთის საშუალო სკოლაში. დამთავრებული მაქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები ჯანდაცვა და სადაზღვევო საქმეში სპეციალობით.

მყავს მეგობრების ფართო წრე, ვარ სამართლიანი, მეადვილება ხალხთან ურთიერთობა, ვცდილობ, ყოველთვის დავედო ჩემი თანასოფელელების გვერდით და დავიცვა მათი ინტერესები.

გამაყობ ჩემი წინაპრებით და ვცდილობ, ღირსეულად გავაგრძელო მათი საქმე.

შავლავ, ძალიან ახალგაზრდა ხართ. სამსახური კი ბევრს გაკავდებოდა. ალბათ გაქვთ ბრძოლის უნარი, რომ მოზღვავებულ საქმეებს შეეჭვიდეთ?

–მიუხედავად ასაკისა, ბოლომდე ვაცნობიერებ ჩემზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, ჩემი აქტიურობა და ბრძოლისუნარიანობა დამხმარება წარუძღვე საქმეს, რომელსაც შევეჭვიდე. მიყვარს შრომა და ნებისმიერი საქმის ბოლომდე მიყვანა, ჩემი სიძლიერე, ჩემი მეგობრები და ახლობლებია, რომელთა თანადგომას ყოველთვის ვგრძობ. ჩემი მიზანდასახულობითა და სამართლიანობით მზად ვარ, სოფლისთვის ბოლომდე დავიხარჯო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბევრი სასიკეთო საქმე შესთავაზა ხალხს სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებით. ამასწინათ ხენა-თესვის ბარათები დარიგდა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ სოფელში, როდის დაიწყო ხენა, რამდენია მოხული, ტრაქტორები ადგილობრივია, ძველი თუ ახალია. რაიმე პრობლემა ხომ არ გქონიათ. სულ რამდენია მოსახლავი, მოხული. თესვა რა ეტაპზეა, როგორია თქვენი სპეციალისტების როლი ამ საქმეში?

–დაგეთანხმებით, დასაფასებელია პრემიერ-მინისტრის ინიციატივა სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით. ეს კოალიცია „ერთიანი ოცნების“ ერთ-ერთი საარჩევნო დაპირებათაგანია. რომელიც რეალურად განხორციელდა. წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, რომელთა მოგვარებაც ეტაპობრივად დაგეგმილია. ამჯერად კი ხენა-თესვის პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება, ჩვენთან

ამ პროცესში აქტიური ჩართულობაა. პირველი ეტაპისთვის დარიგდა „სასოფლო-სამეურნეო ბარათები“, მექანიზატორები რამოდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებდნენ ფართობებს, სამუშაოებს ადგილობრივებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემებიდან მექანიზატორთა ჯგუფები ასრულებდნენ. წელს მოიხნა წლობით მოუხნავი მიწები, ჩვენი მიზანია, არ დავტოვოთ არც ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი. პროექტის შეუფერხებლად განხორცილებაში მოსახლეობის მხრიდან სრულ მხარდაჭერას ვგრძობ, ისინი ნოვატორული წამოწყებით კმაყოფილები არიან. ასევე, მინდა აღვნიშნო ჩვენი თემის სპეციალისტების მონაწილეობა, ისინი მხარში მიდგანან, ამ საქმეში ერთად ვართ ჩართულები. ხეთაში ნიადაგის ხენა-ფარცხვა და თესვაც დროულად და მაღალ დონეზე დამთავრდა, რაც კვონებს, მისასალმებელია.

ხეთის თემი ტერიტორიულად დიდი და ყველა უბანს თავისი რელიეფი აქვს. რა არის სადღესოდ ნომერ პირველი პრობლემა, უპირველესად რომელ უბანს სჭირდება მიხედვა?

–პრობლემები ყველა უბანშია. უბნების გამოყოფისაგან თავს შევიკავებ, რადგან ხუთივე უბანში მიმე სიტუაციაა. მოსახლეობას აწუხებს როგორც ინფრასტრუქტურის პრობლემა, ისე წყლის სისტემის მოწყვრივება, სანიაღვრე არხების მოწყობა და მრავალი სხვა.

ჩვენ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გეკონდა საინტერესო შეხვედრა ხეთის თემის მოსახლეობასთან, რომელთა ჩართულობით გამოიკვეთა პრიორიტეტული საკითხები და ამ ეტაპზე ვმუშაობთ მათ მოგვარებაზე.

და საერთოდ, რას ითვალისწინებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“? ეს ხალხის მოთხოვნაა? როდის დაიწყება პროგრამით გათვალისწინებული განხორციელება. ამ პროგრამაში თუა გათვლილი ექვსი-ამდე მისასალმებელი გზის მოწყობილება?

–სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მოგვსვენებათ, მოსახლეობის მიერ შერჩეული პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების მოგვარებას ითვალისწინებს, რომელიც საქართველოში რამდენ-

იმე წელია ხორციელდება. სამწუხაროდ, ხალხის ფართო მასისთვის უცნობი იყო მისი დანიშნულება, პროგრამაში მოსახლეობის ჩართულობა ძალიან დაბალი იყო.

ჩვენ, მოსახლეობასთან შეხვედრებისას, ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა ის პრობლემა საკითხები, რომლებიც მათ ყველზე მეტად აწუხებთ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებას ახლო მომავალში

ვფიქრობ, მოსახლეობა ჩემს მართლადებულად განწყობილი. ეს ურთიერთობებშიც კარგად ჩანს. კოლექტივში ვხელმძღვანელობთ გუნდური მუშაობის პრინციპით, ვგრძობთ კოლექტივიდან მხარდაჭერას, სოფლის დეპუტატთან ვინილაგ მნიშვნელოვან საკითხებს. რაც მოთავარია, შედგა კოპაბიტაცია, აღსანიშნავია ჩვენი ერთობლიობა საქმეში.

რა სამსახურები ფუნქციონირებს სოფელში და

ვეგემავთ, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, ივეგება ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოწყობილება.

სოფელში არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები, ბენეფიციარები, ინვალიდები, –ექვევით მათ რაიმე განსაკუთრებული ყურადღება? ხომ არ მოგიფიქრებიათ რაიმე მათი პირობების გასაუმჯობესებლად?

–სოფელი დიდა, შესაბამისად მრავლად არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები, არიან ინვალიდებიც, რომელთაც ერთჯერადი დახმარების სახით ერიცხებათ გარკვეული რაოდენობის თანხა. გარდა ამისა, როგორც ვიცით, ახლო მომავალში ამოქმედდება პროგრამა, რომელიც პენსიების გაზრდას ითვალისწინებს. მოგეხსენებათ, თემს არანაირი სახსარი არ გააჩნია რაიმე სახის დახმარება გამოუყოს ბენეფიციარებს. შესაბამისად, ადგილობრივი სახსრებით, სამწუხაროდ, მათი დახმარება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, მხოლოდ მუნიციპალიტეტი გამოყოფს მათზე ერთჯერად დახმარებებს. მე უშუალო კავშირი მაქვს ასეთი ტიპის ოჯახებთან და ვიცი მათი პრობლემები. ჩემი მხრიდან ყურადღებას არ ვაკლებ, რათა მათი ცხოვრების პირობები გაუმჯობესდეს.

რა უნდა გააკეთო სოფლისთვის ისეთი, რაც თქვენს წინამორბედებს არ გაუკეთებიათ? როგორი ურთიერთობა ჩამოგვყალიბდა თანასოფელელებთან, კოლექტივთან, კოლეგებთან, თქვენი სოფლის დეპუტატთან? გრძობთ მის მხარდაჭერას?

–ვცდილობ და მინდა, ჩემი თემის ყველა პრობლემა რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მოგვარებადი იყოს. მზად ვარ დადებითი შედეგის მისაღებად, ყველა ინსტანცია შევაწუხო. მონაწილეობას არ მოვაკლებ, რომ თემი გახდეს ერთ-ერთი მოწინავე წინა ხელისუფლების პერიოდში მოქალაქეების აზრს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ქვეყნისა და თემის ბედს კაბინეტებში ორი ადამიანი მტრული პირობები შექმნას და მეტი სარგებელი მოუტანოს თითოეულ მოქალაქეს. მოსახლეობის სურვილების გათვალისწინებით, საქმის მაქსიმუმს ვაკეთებთ და ერთად დავძლევთ მთავარ პრობლემას–სიღარიბეს.

რომელ მათგანს ესაჭიროება თქვენი მხარდაჭერა და რაში გამოიხატება იგი?

–სოფელში ფუნქციონირებს ხეთის საჯარო სკოლა, თემში შედის სამი სკოლამდელი გაერთიანება, რომელთაც რეაბილიტაცია სჭირდებათ. ბავშვებს დანგრეულ და ამორტიზირებულ შენობაში უხდებათ ყოფნა, რთული სამუშაო პირობებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახურე პერსონალი ყველაფერს აკეთებს სამუშაო პროცესის ნორმალურად ჩატარდეს. თემში ასევე ფუნქციონირებს სამედიცინო ამბულატორია, რომელიც საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. მოგეხსენებათ, ხეთაში მდებარეობს შინმოსვლელის დიდების მუზეუმი, არის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, ფუნქციონირებს რამოდენიმე კერძო სწავრობა, არიან ინდემწარმეებიც. მე ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვცდილობ და მუდმივად ვეცდები, ვიყო მეწარმის გვერდით, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მცირე მეწარმეობაში ვხედავ.

თქვენი გადასახედიდან და დღევანდელი დღიდან გამოძინარე, რა იქნება ის, რაც მოსახლეობას გააძლიერებს და იმედით დაელოდება ხვალინდელ დღეს?

–მინდა წარმატებით ჩავამთავრო ნებისმიერი საქმე, რომელსაც ხელს მოვკიდებ, წამოყენებული საკითხების მაქსიმალურად მოკლე დროში ეფექტურად და ხარისხიანად შესრულებითა და პასუხისმგებლობის გრძობით მჯერა, გავამართლებ ჩემი თემის მოსახლეობის იმედებს. ჩემი სურვილია, ახალგაზრდებს შევუქმნა ყველანაირი პირობები ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მოხუცებს გაუწვიო თანადგომა და სოფელს დაუბრუნდეს ხალხი. ძლიერი სოფელი ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია. მხოლოდ ერთად დგომითა და ერთად ყოფნით შევძლებთ თემის უკეთესად წარმოჩენას. უფალი ჩვენსკენაა და მჯერა, ნებისმიერი საქმე, რომელსაც ჩვენ წამოვიწყებთ, წარმატებით დავავრცინებთ.

წარმატებები ყოფილიყოს თქვენი ყოველდღიური საქმიანობის თანმდევი!

–გმადლობთ! ჩემი წარმატება ჩემი თემის უკეთესად წარმოჩენასა და გაძლიერებაში გამოიხატება. ჩემი თემის უკეთესი ხვალისდელი დღისთვის მუხლწაუხრებლად ვბრძობი. **მსაუბრა ნანი კილასონია.**

დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა მამულის აღმშენებლობისთვის უნდა გვრახმავდეს და გვაერთიანებდეს, „რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა“, ამინ! დღევანდელი საქართველო კი დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისდროინდელი საქართველოს მხოლოდ ნეგატივია...

ისინი იბრძოდნენ, აერთიანებდნენ, ამთლიანებდნენ მამულს, იბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიებს, პატრიოტიზმის მიმბაძველი ძალის მქონე პირადი მაგალითებით აღაფრთოვანებდნენ და რწმენით შემოიკრებდნენ მოყვასთ. ჩვენ ვშლით! ისინი ცოდვებს სახალხოდ ინანიებდნენ. ჩვენ მოუნანიებელი



ინი XXI საუკუნეშიც. საბედნიეროდ, ბრძენი კოლხი მოსახლეობა არასოდეს აპყობდა ქვეყნის ამ დამაქცეველ პროვოკაციას. გვჯერა და გვწამს, რომ ასე იქნება ამჯერადაც, რადგან წარსულისკენ უკუსვლა დაშლას ნიშნავს, ხოლო ჩვენი ერთიანობა, ქვეყნის აღორძინება აწმყოსა და მომავალშია.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია თავისი 2012 წლის 22 თებერვლის გეგმიური საჯარო სესიის

ინსტიტუტის ფონდებში). საქვეყნოდაა ცნობილი დიდი აკაკი წერეთლის პოზიცია ამ მეტად ფაქიზ და მტკივნეულ თემაზე. საქართველოს ბუღბუღად შერაცხილი მგოსანი 1899 წელს ბრძანებდა: „ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინეთ: უნდა ვილაპარაკო მეგრელობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადო იარაღად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის. უნდა გაგეგონათ დიდებულ ლხინში მეგრელების მჭერმეტყველება და განმტკიცებული გაწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით: აი, სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო“. „ჩემიან-შენიანობაზე ხელი უნდა ავილოთ და საიდანაც

მამულს ეკუთვნის, შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი, მიეცი მამულს რწმენით გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს. გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით, ზარმაცობა, ცულულტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს, ადრე თუ გვიან, უეჭველად დალუპავს“.

დიდი კონსტანტინე გამსახურდიას მთელი სამწერლო შემოქმედება ზემოაღნიშნული ნააზრვის კონკრეტული გამოხატულებაა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, სულმნათ ზვიად გამსახურდიას საქართველო მთლიანობისთვის ზვარაკად შეწირული სული დღესაც მოგვიწოდებს სიფრთხილე-სიფხიზლისკენ; გასული საუკუნის 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროსაც, როცა გარეშე გონიერმა მტრებმა და, სამწუხაროდ, ზოგიერთმა უგუნურმა შინაურმაც ქვეყნის იმერ-ამერად დაყოფა მოიწადინეს, - დასავლეთი საქართველო პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალმა მაგიდამ“ მართოს, „ხოლო აღმოსავლეთი საქართველო - „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმაო“, ზვიად გამსახურდიამ კატეგორიული უარით კიდევ ერთხელ ააცდინა მამულს და შლის რეალური საფრთხე, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა... ფრთხილად, ქართველნო, ფრთხილად! საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მალაქმა ღმერთმა გვისმინოს და ღვთისმშობელ მარიამის წილხვედრი საქართველოს შვილებს მიანიჭოს ჭეშმარიტების შეცნობის მადლი, გაგვაერთიანოს, გაგვაძლიეროს, გაგვაძარავლოს და გაგვახაროს.

ამინ!
ნუზზარ ნადარაია,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი.
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“.

სად-უხუსვლით დაზღისაჲნ თუ წინ, გაერთიანება-აღმშენებლობისაჲნ?

ცოდვებით ვცხოვრობთ! ისტორიული სინდისის ქენჯნას არ განვიცდით, თაობებს შორის აღმშენებლობის მემკვიდრეობითობის პასუხისმგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ! ვერ ვიდავითეთ, ვერ ვივარგეთ. სამწუხაროდ, უფრო მეტს ვმსჯელობთ თუ გაუთავებლად ვდაობთ, ვიდრე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ.

დებლური საეკლესიო კალენდრით „დიდგორობისა“ და „ცოტნეობის“ საეკლესიო-საერო დღესასწაულები ყოველწლიურად „იმერ-ამერში“ ერთსა და იმავე დღეს - 12 აგვისტოს საზეიმოდ აღინიშნება. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სადღეისოდ მაინც ბოლომდე გაურკვეველია, საით იყურება ქართველი კაცის თვალი, სად ხედავს იგი თავის სახალხო გმირებს-წარსულში, აწმყომი თუ მომავალში. არადა, როგორც ჭეშმარიტად სახალხო პოეტს ლადო ასათიანს უთქვამს ჩვენდა გასაგონად და შესასრულებლად, „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვლე. ეს აწვალდება ცოტნე დადიანს, მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებებს“... ეს ფრთიანი გადაძახილი, დამეთანხმებთ, მხოლოდ მამულის სიყვარულით შეიძლება ითქვას... ასეთივე ქრისტესმიერი სიყვარულით, მთელი პასუხის-



მგებლობით მინდა, განვაცხადო, რომ ინტერნეტისა და ზოგიერთი სეპარატისტული გამოცემის საშუალებით სამეგრელოს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ-ეკონომიკური „დამოუკიდებლობის“ აღდგენის აქტის პროპაგანდა საქართველოს მთლიანობის რღვევას ემსახურება და არა მისი ძირძველი მხარეების თვითმყოფადობის, ისტორიისა და კულტურის, ძირძველი ქართველური ენების შენარჩუნება-განვითარებას. საქართველოს სამეფოებად თუ ცალკეულ დამოუკიდებელ სამთავროებად დაყოფის სამწუხარო, ისტორიული ტრაგიზმით აღსავსე განვლილი ეპოქა ჩვენი ერის ცხოვრებაში, საბედნიეროდ, შეფასებულია გონიერი მტრის თუ უგუნური მოკეთის მიერ ჩადენილ ღალატად და ერის, დედაეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. აღნიშნული მცდელობები იყო XIX, XX საუკუნეებში, და, სამწუხაროდ, თავი

გადაწყვეტილებით, რომელსაც აკადემია „აიას“ (პრეზიდენტი - მამანტი ძაძაძი), აკადემია „ქალდეას“ (პრეზიდენტი - ვაჟა ეგრისელი), ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის (პრეზიდენტი - გულნაზ ხარაიშვილი) წევრებიც ესწრებოდნენ და ერთსულოვნად პროტესტს შეუერთდნენ, ერთმნიშვნელოვნად გმობს და ემიჯნება ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ-ეკონომიკური ავანტიურის გამოხატვის ფაქტს და სადღეისოდ მას მიიხრევს საქართველოს დაშლის (დაქვევის) სუბიექტურ-მტრულ მცდელობად, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი მკვდრად შობილია. საქართველო, მისი ძირძველი მხარეები, მათ შორის, უწინარესად, კოლხეთის მოსახლეობა ამ პროვოკაციის ანკესზე არ წამოეგება და ამდენად, ხალხში მას განვითარების არეალი, დასაყრდენი არა აქვს. ამას ნათლად მიანიშნებდნენ ერის საფიცარი სულმნათი მამების შეგონებები და გვაფრთხილებდნენ ამ მეტად ფაქიზი და ყოველ დროში ნაღმის საფრთხის შემცველი პირადი პასუხისმგებლობის თაობაზე.

დიდი ილია ჭავჭავაძე, როდესაც 1885 წელს დეკანოზ მიხეილ მუხარბიასა და მისი ვაჟის იონას მიწვევით ზუგდიდში ჩაბრძანებულა და სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის (1813-1853) უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჩაუბარებია (იგი ანდერძით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა), სოფელ ცაისში მოწყობილ ტრაპეზზე განუცხადებია: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე - დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქართველს გადაუვლია ზურგზე და მისსა, მაგრამ ყოველთვის უამსა რღვევისა და გაწვილებისა: მტერთა მისთა დამორგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინედ, ეგრე არის ახლაც, ეგრე დარჩება მომავალშიც“ (ავტორისეული ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა

უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვრულად მივეგებოთ და მტერს მტრულად დაუხედეთ“. „კარგად უნდა დავიმახსოვროთ მეგრელები ერთსულ-ერთგულ ქართველებია და მეგრულიც ძირითადად ძველი ქართულია“ (აკაკი წერეთელი, რჩეული, გვ. 264-268). „კოლხეთი ქართული ცივილიზაციის „აიასია“ (კლიმენტი შელია), „უკოლხეთოდ საქართველო უწარსულა“ (ვაჟა ეგრისელი). სულმნათი მიხეილ ჯავახიშვილი გემომღვრავს: „შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენს მშობელ საქართველოში. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი-შენი პირადი მეგობარი. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი-შენს

ჩვენი პატრიარქი

მძღვნება პატრიარქის ხოზში ჩამოგზავნას

საოცარ ნათელში ერი მოაქცია, ღვთის რწმენას აზიარა მთელი საქართველო, ზეციურ სიწმინდის მირონით შეამკო ახალი მყოობადი ზვალის საქართველო.

ღედათა სიწმინდეს ლენაქს დაუბრუნებს, ღვთის მშობელს ავედრებს მიწას, სამეუფლოს; მზე საქართველოსი, მცხეთას განიბრწყინებს.

წმინდა გიორგია მძლეგარი საუფლო.

როგორც არასოდეს წინაპართ ნაკვალევს, კელაპტრად უნათებს მთელ მის ახალ სამწყსოს, უფლის მოციქულებს ქართველთ სულს აღუვლენს, წმინდა სიყვარულის პერანგს შემოაქსოვს.

სიტყვა არ არსებობს, მას რომ შეამკობდა რწმენის ალავერდით მიწაზე აღენთო, მძიმე ჯვარს მარადის უფალი დაუტკობს, ლოცავს მახათაზე ზვალის საქართველოს.

საოცარ ნათელში ერი მოაქცია, ღვთის რწმენას აზიარა ზვალის საქართველო. ციური სიწმინდის მირონით შეამკო, ღვთისმშობლის წილხვედრი მთელი საქართველო.

ლალი ტაღიბი,
მრევლი.

„ნელა მიიწვი ადამიანი ჰავშვობიდან მომავლისკენ, იყოს ყოილი შინი მარა-გზა, ჟიქრო, ნორჩო, იქუ ყანადა...“

ჩემი მოძღვარი



წარმოაჩინოს. ის ძალიან აქტიურადაა ჩართული პროცესში. ამბობს, რომ შვილებით უფროს ვეფა ის საქმე, რომელსაც აკეთებს და როგორც წესი, ის ბევრს, ძალიან ბევრს შრომობს...

ოჯახი... მრავალრიცხოვანი, სიმშვიდისა და ბედნიერების ნავსაყდელი... 8 შვილი, ულამაზესები და ფაქიზები, სიცოცხლით გაცივროვნებულნი: მარიამი, ნინო, მაკრინე, სოსანა, ბარბარე, ნისიმე, ანა და გიორგი... დიდი, ტრადიციული და ძარღვმგარი ოჯახი, სადაც სულიერება და გონება, გარჯა და შრომა ურთიერთშერწყმულია.

ოჯახი, სამშობლო, მოყვასი— სამყაროს ის კიბეა, რომლის თითოეული საფეხური მომდევნოს საყრდენია, ეს საფეხურები კი ძალიან შეუვალი და მყარია მის ცხოვრებაში.

...ვინ არის, ვისზე გესაუბრებით?..

ეს მამა ილიაა, ლომია, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ნოვაინიციის ტაძრის წინამძღვარი. რწმენისა და ერუდიციის მთლიანობად წარმოსახულა მისი პიროვნება. სითბო, მიტეკება, თანადგომა, აი ის, რომელიც მის თვალში იკითხება, მოყვასის სიყვარულია ის დიდი ჯილდო, რაც უფალმა ასე გულუხვად უბოძა, გამოარჩია სხვისგან და განუზღვრა შუამავლობა მისსა და მოკვდავთ შორის.

ეს მისია მძიმეცაა და სასიამოვნოც. მთავარია, რამდენად ღირსეულად შეუძლია რჩეულს ამ ვალის მოხდა და როგორი პირნათელი წარსდება ის უფლის სამსჯავროზე. დიას... აქ ცხოვრობს ადამიანი, რომელიც ჩუმად, მუხლანაურხრელად ირჯება და იმედსა და სინათლეს დაატარებს ყველგან. ვინც ტაძარში ვერ მოდის, თვითონ სტუმრობს, მოიკითხავს, გზავდენილს სავალს მოუძებნის, მრუდში მოქცეულს—გონებას გაუნათებს, ცდილობს მონასტრისკენ მიმავალი თითოეული გზა დაანახოს მსურველთა და პასუხი კითხვაზე „ეს გზა ტაძარამდე მიდის?“ იყოს პასუხგაცემული და ყველგან ის მოდეს: „დიახ, ეს გზა ტაძარამდე მიდის!“

რაც ვთქვი, ნიშანია თითოეული ჩვენგანის გადარჩენისა.

მადლობა მამა ილიას, ფარავდეს ღმერთი!

ცოტნე ბურჯა,

ქ.სობის №2 საჯარო სკოლის

VIII კლასის მოსწავლე.

დილის ნისლია გახვეული არემარე, თითქოს ცივა. ჩიტების ყლურტული გაბმულ მელოდიად ეფინება გარემოს. სადაც ადამიანის სილუეტი გამოჩნდა, ანაფორაში... უფრო და უფრო გამოიკვეთა მისი მოძრაობა. ვფიქრობ, რომ ის ჩემი სულის ნაწილია—ჩემი მოძღვარი.

...მერამდენე წელია, ყოველ დილას ალიონზე ხვდება, ცისკრის შუქზე ლოცულობს, პატივს მიაგებს უფალს, ლოცავს ქვეყანას, მრევლს, ოჯახს და მიემართება ტაძრისკენ. ვინ იცის, უკვე მერამდენედ და ალბათ ასე იქნება სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ეს მისი სურვილია, ამავედროულად იმათიც, რომლებსაც ერთხელ მაინც მოუხმე მის მისთვის. ტაძარი—ეს არის გზა მარადიულობისკენ. გადარჩენისკენ და მომავლის რწმენისკენ, სწორედ, ამიტომაც გახდა იმ უმძიმესი ტვირთის მატარებელი, რომელსაც მრევლის სულის წვრთნა, ამაღლება, კეთილშობილება და უფლისადმი მორჩილება მოითხოვს.

ემილება ყველას: ავადმყოფს, გაჭირვებულს, ჯანმრთელსა თუ ავადმყოფს. ცდილობს მოუსმინოს, თანაგრძნოს, ახლოს მოუშვას მასთან, გული გაახსნეინოს და შეება მოკვაროს თითოეულ მათგანს. ცხოვრების კრედი—სიბნელიდან სინათლისკენ მიმბრუნება. სწორი გზის დანახვა, აწყობა და მომავლის რწმენის ჩასახვა. მრევლი მრავალრიცხოვანი ჰყავს, მრავალში, ალბათ, უფრო მეტნი იქნებიან. სჯერათ, უყვართ, პატივს სცემენ და ემორჩილებიან. მის სიტყვას ფასი აქვს, იციან, რომ შემთხვევით არ იტყვის რამეს.

ტაძარში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. აღმოჩენებმა შეიძლება, სამეგრელოს ისტორია უფრო ღრმად

სამადლობელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჰატარა საბავშვო ბაღი, სადაც უამრავი თვალებსაგულა გოგო-ბიჭი და მათი კეთილი აღმზრდელეები ცხოვრობდა. ასე იწყებოდა ის წერილი, რომელიც ჰატარებმა საქართველოს პარლამენტის წევრს,მაჟორიტარ დეპუტატს ხობის მუნიციპალიტეტში ბატონ გოდერძი ბუჯიას გაუგზავნეს. ბავშვების ოცნება იყო ჰქონოდათ კომპიუტერი, რათა ახალი

პროგრამები და საბავშვო სიახლეები უკეთ აეთვისებინათ.

ოცნება რეალობად იქცა. ბატონი გოდერძი მათ ბაღში ესტუმრა და საჩუქარი გადასცა.

ბაღის აღსაზრდელეები, კოლექტივი, მშობლები დიდ მადლობას უხდებიან მას ამ ქველმოქმედებისთვის. მათ სჯერათ, აქცია ერთჯერადი არ იქნება. ამ კეთილ ნამოწყებას სხვებიც გააგრძელებენ.



პატარა ჯარისკაცები

წინავე დღესასწაული. გაიგეს წითელი კვრცხის სიმბოლიის შესახებ, ისწავლეს მისალმება—„ქრისტე აღსდგა“.

მთერე პროექტი იყო „საქართველო“ ქვეთემბოთ: საქართველო, საქართველო დედაქალაქები, დამოუკიდებლობის დღე.

26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმში, ბაღში ნამდვილ ზეიმად იქცა. სამხედრო ფორმებში გამოწყობილი მასწავლებლები და ბავშვები მწკრივად დაწყობილები თავიანთ „მთავარსარდალს“ ელოდებოდნენ. ქალბატონი ნარგიზა ტულუში მართლაც, რომ მათი „მთავარსარდალია“ ის წლებია, რაც თავის თანამშრომლებთან ერთად ბავშვების სულიერი საზრდობს ჩამოყალიბებზე ზრუნავს, დალას თითოეული ბავშვის გაცისკროვნებული თვალები ავიწყებს. მისასალმები სიტყვაც მან უთხრა თავის საზრდობს და იქ დამსწრე საზოგადოებას, ბავშვებს ამ დღის მნიშვნელობაზე ესაუბრა, თავისუფალ და ძლიერ საქართველოში ცხოვრება უსურვა.

„აღლუმს“ სკოლამდელი სააღმზრდელი გაერთიანების დირექტორი ელისო კვიციანი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ყველაზე საინტერესო და თვალშისაცემი ბავშვების ნახატების გამოფენა თემაზე—„ჩემი სახლი და ჩემი ქალაქი“ იყო. ბაღის თანამშრომლები მიერ დამზადებულმა ექსპონატებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება, რომელიც ფოიეში იყო გამოფენილი.

ღღის ბოლო აკორდი ხალისიანი ზეიმი გახლდათ. ბავშვების ყველა კუთხეში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პატარები იმპროვიზირებულ, საინტერესო საკონცერტო ნომრებს მართავდნენ. კონცერტის დასასრულს ფერად-ფერდი ბუმბუტები გაივსო არემარე და იქაურობას ბავშვების მხიარული კიჟინა აყრებდა. ასე ჩატარდა კიდევ ერთი საინტერესო და მეტად სახალისო დღე „წითელქუდელებისთვის“. ეს ღამაში დღე მათთვის ბაღის თითოეულმა თანამშრომელმა მოაწყობ მადლობა მათ ასეთი ნაყოფიერი დღეებისათვის. იმედს ვიტოვებთ, რომ წინ კიდევ უამრავი საინტერესო პროექტების მომზადება აქვთ ჩაფიქრებული.

„სამეგრელოს მარსკვლაში“

სენაკის სამუსიკო სკოლაში, გამოჩენილი ქართველი პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის პატრონაჟით, კლასიკური მუსიკის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფესტივალი ჩატარდა. „სამეგრელოს მარსკვლაში“, ასე ეწოდა ამ ფესტივალს, რომელშიც ნორჩი პიანისტები, საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები, ნორჩი საესტრადო მომღერლები, სახელოვნებო სკოლების გაერთიანებული გუნდები მონაწილეობდნენ.

ფესტივალში ხობის განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები: ნოდარ შინია (პედაგოგ ნათელა მარგველაშვილის კლასი), ბარბარე ლოლუა, ქეთევან თოდუა, ელიზაბეტ ჭითაშვილი, სესილი გოგინავა (პედაგოგ ნაზი ბერაიას კლასი), მარიამ თოდუა (პედაგოგ ხათუნა ჯობავას კლასი) მონაწილეობას იღებდნენ.



ანიმასია და ბავშვები



ანიმაციების დახმარებით შეთხზეს ისტორიები და შეუდგნენ ხატვას, რომელიც ორი დღის ვადაში უნდა დაასრულონ. ნახატები წარდგენილი იქნება ანიმაციური ფილმების ფესტივალზე და ამ ფესტივალის პროგრამიდან შერჩეული ფილმების ჩვენება მომავალ წელს რეგიონებში მოხდება. ანიმაციური ფილმების ჩვენებას და პატარების წამახალისებელი გათამაშების მსვლელობას ხელმძღვანელობდა ანიმაციური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ზურაბ დიასამიძე. აქტიურობისა და კითხვებზე სწრაფად გაცემული პასუხების მიხედვით; პატარები—მათი გერაბია, ბარბარე სოსელია და ლუკა გაბისონია დაჯილდოვდნენ ანიმაციური ფილმის დისკეტებით.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთათვის ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზში“ გამარჯვებული პროგრამიდან, ანიმაციური ფილმების ჩვენება მოეწყო, სადაც პატარებმა შერჩეული ანიმაციური მულტიფილმები იხილეს. გარდა ჩვენებისა, 7 და 8 ივნისს მოეწვობა ვორქშოპი, მიფასი ანიმაცია, რომლის ფარგლებში პატარები შეისწავლიან ანიმაციური ფილმის წარმოების პროცესს. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ნორჩ მხატვართა წრის წევრებმა—გელა გულუამ, დიმიტრი იოსავამ, ფირონ კვირიკაძემ, მარიამ, ანი და ლუკა მირგატიებმა პროექტთან დაკავშირებით, დღის პირველ ნახევარში პროფესიონალი

ჩვენება გაიმართა „ანიმაციის განვითარების ფონდის“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს კინემატოგრაფიის ქაროვნული ცენტრის ორგანიზებით და ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრისა და კულტურის ცენტრის ხელშეწყობით.

კლასიკური მუსიკის კვირეული საბავშვო ბაღებში



კლასიკური მუსიკის კვირეული ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები №1 და №2 საბავშვო ბავშვბაღებში.

კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, სამუსიკო სკოლის მუსიკის კვირეული ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები №1 და №2 საბავშვო ბავშვბაღებში. კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, სამუსიკო სკოლის მუსიკის კვირეული ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები №1 და №2 საბავშვო ბავშვბაღებში.

პედაგოგების ინიციატივით და ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელი გაერთიანების ხელშეწყობით, დაიგეგმა გასული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში. კონცერტზე სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მონაწილეობით შესრულდა ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. ღონისძიებას ესწრებოდნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელეები, მათი მშობლები და მასწავლებლები.

სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა თამარ ხუნწარიამ ისაუბრა კლასიკური მუსიკის მნიშვნელობაზე ადამიანის განვითარების პროცესში და პატარები სამუსიკო სკოლაში განათლების მისაღებად მოიწვია.

ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას!



4 ივნისს, ქ. სობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, გაიმართა კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ნახევარფინალური ეტაპი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდი „იერუსალიმი“ და წალენჯიხის №1 საჯარო სკოლის გუნდი „ბეთანია“. კონკურსის უძღვებოდა საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი. შეჯიბრი სამ ტურად ჩატარდა. გაიმარჯვა ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდმა და ფინალში შვიდ უძლიერეს გუნდთან ერთად გადავიდა.

დასკვნითი ტური გაიმართება ქალაქ თბილისში. ფინალში გასული გუნდები სიგელებით და ფასიანი პრიზებით დასაჩუქრდებიან.

აქიოსვალის გვერდი

რას ითვალისწინებს სკოლაშენი ალზრდის მეტოქე

იმავთად წერენ და ლაპარაკობენ სკოლაშენი ალზრდის განათლების სასწავლო-სააღმწერლო მიზნებზე. ნუთუ ამაზე საუბარი უადგილოა ან სულაც ზედმეტი, როცა ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურად დგას მთელი ერის წინაშე. ბავშვი, რაოდენ უმთავრესია ის გარემო, სადაც ის პირველი პერიოდული მოძრაობს, იგი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მის მიერ მერმისზე. ფსიქოლოგები წერენ: „ბავშვის სული და გული მეტად

უნდა შეუწყვთ ბალებში რეალური სასწავლო პროცესის დაწესებას თამაშის სახით, რომელიც ბავშვს მრავალმხრივად განავითმანათლებლობს დაწესებითი საფეხურის გამოწვევებისათვის. დღევანდელი ბალები თავისი მწირი რესურსებითა და ბაზით ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს; არ არის საკმარისად მომზადებული მასწავლებლები და თუ არიან (ძალიან ცოტანი, ალბათ თითზე



მგრძობიარეა, მას მალევე ეძინება ავის და კარგის ნაკვალევი. ამიტომ ის გარემო, სადაც აღსაზრდელის სული ყალიბდება, თავის ბეჭედს აუცილებლად დაასვათ. ბავშვობის წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოფით პირობებს და აღზრდის გარემოს მოწესრიგებას, სადაც მოზარდის ჩამოყალიბების პროცესი იწყება.

ვლენი. მათ არ ჰყავთ კვალი ფიციურად მოთხოვნების მიხედვით გადაამზადებული თანამშრომლები, ჯგუფში ყოვლად დაუშვებელია ოცნებები აღსაზრდელის მიღება წინააღმდეგ შემთხვევაში)

მათთან შეუძლებელია მუშაობა სტანდარტის მიხედვით. არავინ ფიქრობს, რომ არსებობს და ფუნქციონირებს ბალები, რომელთაც სხვა მოთხოვნილებები არც გააჩნიათ. მაგალითად, თუ რა ხარისხით მიმდინარეობს აქტივობები ჯგუფებში, დრო რამდენად პუნქტუალურად ნაწილდება.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სკოლაშენი განათლების სასწავლო გეგმას ადგენს მეთოდისტი, სადაც ითვალისწინებს ისეთი შინაარსის სწავლებას, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლაშენი საფეხურის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანათა რიგს განეკუთვნება ეროვნული ფასეულობებისადმი სიყვარულის ჩანერგვა და შემდეგი უნარ-ჩვევების განვითარება:

